

კომუნიკაციური სტრატეგიები და განზრახვები 3-5 წლის ბავშვების თამაშში

ქეთევან აბესაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022 წელი

სარჩევი

საკვლევი საკითხი -----	4
ლიტერატურული მიმოხილვა -----	5
<i>კომუნიკაციის განმარტება</i> -----	5
<i>კომუნიკაციის განვითარება</i> -----	7
<i>თამაში</i> -----	10
<i>თამაშის განვითარება</i> -----	11
<i>კომუნიკაციური პარტნიორი</i> -----	14
კვლევის მეთოდები -----	17
<i>შერჩევა</i> -----	17
<i>კვლევის პროცედურა</i> -----	17
<i>კვლევის დიზაინი</i> -----	17
<i>კვლევის ცვლადები</i> -----	18
შედეგები -----	18
დისკუსია -----	30
კვლევის შეზღუდვა -----	38
შეჯამება -----	39
ლიტერატურული მიმოხილვა -----	41

აბსტრაქტი

ბავშვის განვითარების, მრავალფეროვანი ქცევების გამოვლენის, კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის თამაში. თამაშის დროს ბავშვი გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად ავლენს იმ კომუნიკაციურ განზრახვებს, სტრატეგიებს, რისი საშუალებითაც ურთიერთობს გარე სამყაროსთან. ენისა და მეტყველების თერაპევტებისთვის, მნიშვნელოვანია, იმ თავისებურებების ცოდნა, თუ რა განსხვავებით ან მსგავსებით ვლინდება კომუნიკაციური განზრახვები მშობლებთან და თანატოლებთან.

აღნიშნული კვლევის მიზანია, აღწეროს 3-5 წლამდე ასაკის ბავშვების კომუნიკაციური განზრახვები, რომელსაც ბავშვები იყენებენ თავისუფალი თამაშის დროს, მშობლისა და თანატოლის/თანატოლების ჩართულობით. კვლევაში აღწერილია, ბავშვის მიერ გამოვლენილი კომუნიკაციური განზრახვების თავისებურებები. წარმოდგენილია, ბავშვების მიერ გამოყენებული კომუნიკაციური განზრახვების შედარება ორ სხვადასხვა სოციალურ პარტნიორთან: მშობლებთან და თანატოლებთან/თანატოლთან. კვლევაში მონაწილეობას იღებენ 3, 4 და 5 წლის ასაკის ბავშვები. მათი თამაშის პროცესი (ცალკე მშობელთან, ცალკე თანატოლთან) ჩაწერილია ვიდეო მასალაზე, რომელიც დაახლოებით 10-15 წუთამდე მოცულობის არის/ბავშვისთვის სასიამოვნო, ბუნებრივ გარემოში გაანალიზებულია მისი ქცევა მშობელთან თამაშის დროს და იმავე ბავშვის კომუნიკაციური ქცევა თანატოლთან. კვლევაში ჩართვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომ სამიზნე პოპულაციის თანატოლი არის იმავე ასაკის ბავშვი ან მათ შორის ასაკობრივი სხვაობა არ აღემატება 1 წელს. კვლევის შედეგად ვვარაუდობ, რომ ბავშვები უფრო თავისუფლად იქნებიან, ანუ უფრო მრავალფეროვან კომუნიკაციურ განზრახვებს გამოიყენებენ თანატოლებთან, ვიდრე მშობლებთან.

Play is an active process, of expressing child`s development, different behaviours and above all for communication. During play child consciously or unconsciously manifests those communication intentions and strategies, that make him/her able to communicate with outer world. For Speech and Language Pathologists, it`s important to know how this communication intentions differ or similar with parents or peers.

This research aims to describe child`s (from 3 to 5 year) communication intentions, with mother or peer, which they use during play. In this study, these communication intentions is compared between mother and peer, generally, between with two different communicative partner. Their play process is recorded on the video, duration 10-15 min. In a pleasant, natural environment her/his behavior is analyzed while playing with mother and peer. An important criterion for inclusion in the study is that, the peer of the target population is a child of the same age or the age difference between them doesn't exceed 1 year. Research suggests that children will be more free, that is, will use more diverse communication intentions with peers than with parents.

საკვლევი საკითხი, კვლევის აქტუალურობა

აღნიშნული კვლევის მიზანია, აღწეროს რა კომუნიკაციურ განზრახვებს იყენებენ 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვები მაშინ, როცა თამაშობენ თანატოლთან და მაშინ, როცა თამაშობენ მშობელთან. მკვლევრის მთავარი ამოცანაა, გაანალიზოს არის თუ არა კავშირი კომუნიკაციური პარტნიორისგან წამოსულ განზრახვებსა და ბავშვის მიერ გამოვლენილ განზრახვებს შორის. ეს პროცესი კი განხილულია, "Input-Output" ჩარჩოში. კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია. გარდა იმისა, რომ ბავშვი იმანენტურად ცდილობს გარემოსთან კომუნიკაციის დამყარებას, მას სჭირდება პარტნიორი, ვისთანაც ის ჩაერთვება ამ პროცესში. ამ შემთხვევაში განხილულია მშობლისა და თანატოლის როლი კომუნიკაციის დროს.